# სამშობლო

წ. I 1915 წ. — პარასკევი 27 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 41 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 41


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## „სამშობლო"

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.


მეუღლე ანასტასია ქიჩუს ასული, შვილები: დიმიტრი, ბიკტორი, დათიკო, ანა და ლიუდმილა როინიშვილები, მარიამ ჯინჯიხაძისა, ძმები პავლე და ილიკო როინიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას, პირველი დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლისა, მეორეთა ძვირფასი მამის, დანარჩენების ძმის

**ალექსი მიხეილის ძის როინიშვილისას.**

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს ხუთ საათზე, არქიელის გორაზე საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება კვირას, 29 მარტს, ნაშუადღევის სამ საათზე გოჭოურის ეკლესიის სასაფლაოზე.

1—1—133

ღრმა მწუხარებაში მყოფნი პეტრე ხარიტონის ძე ქვანია, მეუღლე მარიამ დავითის ასული ქვანიასი, შვილები თამარა და მაგიტა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველთა უძვირფასესი შვილისა, მეორეთა ძმისა

**საშა (მაკარი) პეტრეს ძის ქვანიასას.**

პანაშვიდი ყოველდღე ნაშუადღევის 5 ს საათზე, თბილისის ქუჩა სახლი ჩიქოვანისა. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 28 მარტს, ნაშუადღევის 4 ს საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე, კერძო ბარათები არ დარიგდება.

1—1—132

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ალექსანდრა დავითის ასული ბახტაძისა, შვილები მარიამი და ნინო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის დაუვიწყარი დისწულისა, ხოლო მეორეთა დეიდაშვილისა

**საშა (მაკარი) პეტრეს ძის ქვანიასას.**

პანაშვიდი ყოველდღე, ნაშუადღევის 5 საათზე. თფილისის ქუჩა, სახლი ჩიქოვანისა. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 28 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე.

2—1—131

## 26 აპრილს დანიშნულია

**ქართ. შორ. წერ. კითხ. გამ. ქუთ. განყოფილების**

# საზოგადო კრება

კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლება მიეცემათ მხოლოდ იმ წევრებს, რომელთაც გადაიხადეს 1914 წლის საწევრო ფული.

### ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ პარასკევს, 27 მარტს, **დაკლებულ ფასებში** წარმოდგ. იქნება მხიარული კომედია აქ. ცაგარლისა

1. **რაც გინახავს ველარ ნახავ** სამ მოქმედებათ.

ივანე გომართელის კომედია. 2. **იასონის ოინები** ორ მოქ.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე** — რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. — მზად. წარმ. **„დღენი ჩვენი ცხოვრებისა"**.

---

ქ. ქუთაისი

მოსკოვის ფირმის განყოფილება

ამხანაგობა

## „ნ. უდალოვი და ი. ვასილოვი"

გიმნაზიის ქუჩა საკუთ. სახლი.

## თომას კვირაში

30 მარტიდან 4 აპრილამდი

ნიშნავს

# დიდ იაფ ვაჭრობას

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისას.

---

ქუთაისის საზოგადო საკრებულო.

**შაბათს, 28 მარტს, შესდგება**

## საოჯახო საღამო.

ცეკვა და ლოტო.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

დაუკრავს მუსიკა. ✦ ფასები ჩვეულებრივია. ✦ მამასახლისთა საბჭო.

---

## გაფრთხილება.

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს**, რომ **გაზეთებში** გამოჩნდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის **გასულდ წლების მსგავსად წელსაც** **ხ. ხრისტოდულიდის** **მიუცილებელ საშვილოდ ჯგუფთით, რომ** თესლის **შემძენლნი** მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი"**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი"**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი"** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის"** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის"**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოუოლებული** სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

---

**ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის**

# ძმათა პასხალიდია აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

**ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;**

**ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

---

## სკოლა ტყეში

537 საჟ. ზღვის ნაპირ. **ზ. ვ. არჯევანიძისა** ზაფხული მეორე.

გამართულია საზაფხულო სკოლა პანსიონით და საყმაწვილო ბაღით 6—12 წლის ჯანით სუსტი ბავშვებისათვის **ფიჭვნარში**, სოფ. წაღვერში (დიდი მთავრის ბორჯომის მამულში). **1915 წლის სეზონი გაიხსნება 1 მაისს** ბავშვების ჩაწერა საჭიროა ამთავით. მსურველთ ცნობები გაეგზავნება უფასოთ.

თფილისი, მალაკნების ქ., 27; პირადათ სად. 4—6 საათზე. ქუთაისში დაწვრილებით ამბის გაგება შეიძლება მეორე უმაღლეს პ.—დ. სასწავლებლის მასწ. კ. ჯაველთან. ზაფხულობით: Цагвери, мѣстная школа.

4—3. № 117.

---

**კბილის მენადარიშრილი და ტრუშა-ექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

## სტუდენტი

**ვარლამ ფერამე** (9 წლის პრაქტიკით)

**ვამზადებ და ვუსწორებ** გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს **ყველა საგანში.** (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ დექავას მაღაზიაში დევიძის სახლი.

14—6

---

### ქუთაისი, 27 მარტი.

გაფრინდენ უქმეები!.. მშრომელი ხალხი კვლავ ჩავარდა ყოველ დღიურ მზრუნველობაში და ჩაება სადღეისო შრომაში.

პოეზია გატაცებისა და სმაჭამისა მუდმივმა პროზამ შესცვალა.

ერთ დროულად დახარჯული ფული და რამდენიმე დღის თავდავიწყება მუდმივმა მუშაობამ უნდა აანაზღაუროს, შეუფერებელმა და შეურყეველმა მიმდინარეობამ ცხოვრებისამ უნდა დაჰფაროს და დაავიწყოს ხალხთა უმრავლესობას...

ცხოვრება ბრძოლაა და ყოველივე თავდავიწყება ამ ბრძოლას უფრო ალრმავებს და აწვავებს.

ამიტომაც არის, რომ უქმეების შემდეგ თითქოს უფრო უმწეო და დაჩაგრული გვეჩვენება ჩვენი ყოფნა.

მართლადაც რა მოგვცეს ახალი ამ უქმეებმა?

არაფერი! დაიხარჯა აუარებელი სიმდიდრე, აბობოქრებულმა ქალაქმა შთანთქა აუარებელი სანოვაგე, დალია უთვალავი კოკა თუ ჩაფი სასმელი, ღარიბი თუ მდიდარი რამდენიმე დღით მიეცა განცხრომას და...

როცა ყველა გამოვფხიზლდით, კვლავ გვესმის თოფ-ზარბაზანთა გრიალი, კვლავ იღვრება მეომართა სისხლი, მთელი კა-

# დღეს რა მოხდა.

21—24 მარტამდი, მიუხედავათ ავსტრიელების თავგანწირული იერიშებისა, რუსის ჯარმა ყველგან დაამარცხა მტერი და ბევრი სამხედრო დავლა ჩაიგდო ხელში.

22 მარტს ნემანის დასავლეთით ბრძოლა რუსების სასარგებლოთ განვითარდა.

22 მარტს ოსმალეთის კრეისერი „მეჯიდიე" ნაღმს წააწყდა და ოდესის მახლობლათ ჩაიძირა.

21 მარტს „გებენს"-ა და „ბრესლაუ"-ს რუსის ფლოტმა სროლა აუტეხა.

ორი კვირის განმავლობაში კარპატებიდან რუსებმა წამოიყვანეს ტყვეთ 378 აფიცერი, 11 ექიმი და 33,150 ჯარისკაცი, 17 ზარბაზანი და 101 ტყვიის მტყორცნელი იხელთეს.

23 მარტს რუსის ჯარმა სოფ. სმოლნიკი და ომაშრუშკა დაიკავა.

ავსტრიელები უკან დახევის დროს ხიდებსა და სურსათის საწყობებს ცეცხლს უკიდებენ.

### დასავლეთის ასპარეზი.

სენმიელის სამხრეთ აღმოსავლეთით გერმანელებთან ცხარე ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა ელიმის ტყეში თხრილების სამი ხაზი დაიკავეს.

ლიბასეს მახლობლათ გერმანელების სანგრებში ინგლისელებმა ნაღმი ააფეთქეს და 100 საჟენის მანძილზე თხრილები და აგურის შენობა დაანგრიეს.

ამ რაიონში გერმანელები საარტილერიო ბრძოლას აწარმოებენ.

ინგლისელების გემი „ოლივენი" ნაღმს წააწყდა და დაიღუპა.

ბულგარლებსა და სერბიელებს შორის შეტაკება მოხდა.

ბულგარლების ჯარისკაცებმა სერბიელების საწყობებს პრაუშში და ბორაკლეში ცეცხლი წაუკიდეს.

სერბიელები მაჰმადიან მცხოვრებლებს სდევნიან. დევნილები ბულგარეთის საზღვრისკენ გარბიან.

შვეციის გემებისა და ნავტივების მიმოსვლა ნაღმების შიშის გამო ბალტიის ზღვაზე დროებით შეჩერებულია.

### ოსმალეთის ასპარეზი.

22—23 მარტამდი ოსმალების ყველა იერიში მოგერებულ იქნა. ოლტისის გეზით რუსის ჯარმა ოსმალები უკუაქციეს. დანარჩენ ფრონტებზე უმნიშვნელო სროლა სწარმოებს.

---

ცობრიობა და მათ შორის ჩვენი პატარა სამშობლოც კვლავ განსაცდელშია.

ერთი ნაბიჯითაც ვერ წავედით წინ, ერთი მტკაველიც არ მომატებია ჩვენ სიკეთეს. პირიქით უფრო აჰრელდა მსოფლიოს პოლიტიკური ცა და ახალახალ უბედურებას უნდა მოველოდეთ...

არავინ იცის სად არის ხსნა, როდის მოეღება ბოლო სისხლის ღვრასა და მებრძოლთა ორომტრიალს.

ასეთ პირობებში გულხელდაკრეფით ჯდომა, ან ოცნება დანაშაულია ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ასეთ პირობებში თვალის დახუჭვა იმაზე, თუ რაცა ხდება ჩვენს გარშემო,— სიკვდილს უდრის.

ამიტომ ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ უსაჭიროესი საკითხები, რომელთა სასურველად გადაჭრა ცოტათი მაინც დაამებს ჩვენს საერო ტკივილებს.

საუბედუროთ ჩვენდა ჩვენი ხალხი თავის თავს არ ეკუთნის. ხალხის მაგიერ ფიქრობს და ზრუნავს მოხელეობა, ჩინოვნიკობა.

ხალხის მაგივრათ ქვეყანას პატრონობს ადმინისტრაცია.

ხოლო როგორია ეს პატრონობა, ყველამ კარგათ უწყის.

უბრალო ერობაც კი არ გვაქვს, რომ ხალხმა თაოსნობა გამოიჩინოს, გზად და ხიდათ გაუხდეს მომავალს.

ვაკეთებთ იმას, რასაც გვიბრძანებენ და ვმოქმედობთ ისე, როგორც ბრძანებებსა სურთ.

ამასობაში კი ერთ წრეში ვრჩებით და ერთ ადგილას ვაბაკუნებთ ფეხს.

უბედური და უმწეოა თითოეული ჩვენთაგანის მდგომარეობა.

ამ უბედურებიდან ჩვენ დაგვიხსნის მხოლოდ შეერთებული მუშაობა, საერთო გარჯა და საერთო მოქმედება.

ჩვენ, თუ სიცოცხლე გვინდა უნდა დავივიწყოთ ჯგუფობრივი განხეთქილება, უნდა დავგმოთ ვიწრო პარტიული გატაცება და შეერთებულის ძალით გამოვნახოთ ისეთი გზა, რომელიც სამშვიდობოს გაგვიყვანს.

დღევანდელმა დღემ დაგვანახვა, რომ ჩვენ ძლიერ ბევრში ვცდებით და იმ დროს, როცა ლამაზ-ლამაზ თეორიებს ვთხზავდით თუ სიმბოლოთ სარწმუნოებისად ვაღიარებდით და ამ სარწმუნოების მეოხებით ერთმანეთს მიწასთან ვასწორებდით, გულქვა და ულმობელი კანონები ცხოვრებისა საქვეყნო უბედურებას გვიმზადებდა და უფსკრულის პირადაც დაგვაყენა.

იმ დროს, როცა ჩვენ ქართველურის დაუდევრობით ვამსხვრევდით „ძველ კერპებს" და ამ ნანგრევებზე „ახალი კერპის" აღმართვას ვაპირებდით, წამოგვისროლა მსოფლიო ომის ქარიშხალმა ♁ სულ მთლად მიანგრია ჩვენ ოცნებაზე დამყარებული ურთიერთობა, თუ ძალთა განწყობილება.

აღმოჩნდა რომ ყველაზე მოუმზადებელი ჩვენ, ქართველები, ვყოფილვართ, და ამ დროს, როცა სხვის მაგივრათ თავპირს ვიმტვრევდით, სხვები მხოლოდ თავის პირად საქმეს აწყობდენ და თავის პირად კეთილ დღეობას ამზადებდენ..

აბა გადაავლეთ თვალი რა ხდება ჩვენ გარშემო. რომელ ერს უფრო მოელის საფრთხე და რომელ ერს უფრო უწევენ ანგარიშს!

იმ დროს, როცა ასიათასობით ქართველი მეომარი ბრძოლის ველზეა გასული,

ერთის სიტყვით, „ჰკუისა გვჭირს" და თუ დროზე ეს ჰკუა არ მოვიკრიფეთ, ვინ იცის კიდევ რა მოგველის?..

ჩვენი ჰკუის მოკრეფა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ერთმანეთს ხელი მივცეთ და შეერთებულის ძალით გავაკეთოთ ის, რის გაკეთება კიდევ შეგვიძლია.

პირველ საქმეთ ჩვენ მიგვაჩნია აჭარლების შემოერთება და მათი პატრონობა.

ბევრი რამ დაიწერა მათ შესახებ ჩვენსა თუ სხვა გაზეთებში, ბევრი სურვილი გამოთქვა, მაგრამ დღემდის არსებითი არა გაკეთებულა რა.

ყოველივე თაოსნობას მოკლებულ ერს, ჩვენ გვაქვს ერთი წოდებრივი დაწესებულება, რომელიც ახლა უნდა გამოვიყენოთ საერო, საქვეყნო საქმისათვის.

ეს დაწესებულება გახლავთ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულო და მათი წინამძღოლი—მარშლები.

აი ამათ უნდა ვაკისრებინოთ საშვილიშვილო საქმე, ამათ უნდა აღძრან პირდაპირი და თავგამოდებითი შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქართველ ერს მიეცეს საშუალება მოუაროს თავის თანამოძმეებს, განსაცდელისგან დაიხსნას ისინი.

ჩვენ,—მთელმა ქართველობამ,—ბანი უნდა მივცეთ მათ შუამდგომლობას და დაუყონებლივ დავაარსოთ კომიტეტები და მამულიშვილურის თავგამოდებით მივხედოთ გაჭირვებულთ. ჩვენ,—ყველა ქართველნი,—უნდა გავიმსჭვალნეთ ერთის აზრით, ერთის ფიქრით და დავანახოთ ყველას, რომ ჩვენშიც დიდია ალღო თავის დაცვისა, სიყვარული თანამოძმისადმი და თავ-განწირვა მამულისათვის.

ჩვენ უნდა დავანახოთ ყველას, რომ ჩვენ მარტო საკრეჭი ცხოვრები კი არა ვართ, არამედ, ჩვენც შეგვიძლია თავის დაცვაც და ადამიანური თავ-გამოდებაც.

რა გზით უნდა მოხდეს ჩვენი შეერთება, როგორი კომიტეტები, ან სად უნდა დაარსდეს ეს კომიტეტები, ამის აწონდაწონვა და გარკვევა უფრო მცოდნეებისათვის მიგვინდვია. და იმედიცა გვაქვს, რომ დაუყოვნებლივ გამოგვეხმაურებიან.

თორემ მარტო ლაპარაკით არც არაფერი გაკეთებულა-რა და ვერც გაკეთდება.

# სამდროისო.

### ჩვენი უპატრონობა.

მარტო პოეზია ან რიტორიკა რომ ზრდიდეს ხალხს, სპარსეთი და ბიზანტია—ერთ დროს ქვეყნის მპყრობელნი—პირველობას დღემდინაც შეინარჩუნებდენ. ეხლა კი სხვისი სავარჯიშო არიან, ბურთივით. არც მარტო გლოვით და ზარის აშვებით გადარჩენია ვინმე განსაცდელს. სძლებს, სძლევს მარტო ის ერი, რომელიც ანგარიშით იმზადებს, იზრდის, იკრებს და ხმარობს თავის ზნეობრივ და ნივთიერ ძალას. მისი შინაური კეთილდღეობა და გარეშე გავლენა სწორეთ ამ ძალის თანაბარია.

ამ ძალის ზრდაზე განსაკუთრებით ეხლა უნდა გავხდეთ მეცადინე, როცა მსოფლიო ომს ყოველგან ასე უთვალავათ გააქვსგამოაქვს აქამდი შენაძენი ქონება. სანამ ჩვენი ვაჟკაცნი ბრძოლის ველზე საქართველოს სახელს უდიდებენ, ვინც შინ დავრჩენილვართ როდი უნდა ვივიწყებდეთ, რომ ჩვენს ხალხს, სახელს გარდა, საზრდოც სჭირია, თორემ მათხოვრათ გამხდარი გმირი სხივს მალე დაკარგავს. სანამ სხვა იბრძვის, გალობს, სტირის, ვინმე უნდა ანგარიშობდეს, მომავალს ითვალწინებდეს.

საქართველოს რჩენაში ვენახს დიდი—მეორე—ადგილი უკავია. მისი მოსავალი ერთიანათ მის მოვლაზეა დამოკიდებული. ამ მოვლას, ადამიანის შრომას გარდა, დიდძალი გოგირდი და შაბიამანი სჭირდება, ვაზის ბევრ-გვარი ჭირის წამლად. ომიანობამ კი ეს საგნები არა თუ მეტისმეტათ გააძვირა, ერთიანათაც მოსპო ჩვენს ბაზარზე.

რასაკვირველია, მარტო ჩვენში კი არა, ყველა სხვა ქვეყნებშიაც, სადა კი ვენახი ხარობს, ესევე მოვლენა მოჰყვა ომიანობას. მაგრამ სხვაგან მევენახეებს, საზოგადოთ, როგორც ყველა სხვა მწარმოებლებს, პატრონი ჰყავთ და წინმხედველობა მიუძღვისთ. იქ თავის დროზე—ესე იგი წინ-და-წინ—ზომები მიიღეს ამ გასაჭირის თავიდან ასაცილებლათ, და კიდეც დაიმარაგეს საჭირო წამლები. მარტო ჩვენში არავინ იცის დღეს—როცა ვაზი გამოსულია—იშოვის კაცი ამ წამლებს, თუ არა, და თუ იშოვის—რა ფასათ?

ამ დღეებში გაზეთმა „Кавказское Слово"-მ (№ 65) შესანიშნავი დოკუმენტი გამოაქვეყნა: ინგლისის ბათუმელ კონსულს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისთვის წერილით შეუტყობინებია თურმე, რომ რუმინიის, შვეიცარიის და საბერძნეთის მმართველობას დიდი ხანია გამოწერილი და მიღებული აქვთ რაც მათ მევენახეებს წელს შაბიამანი დასჭირდებათო. ოღონდ

თქვენი საზოგადოება არაფერის მზადებაში ხართო. კონსული რჩევასაც იძლევა: ოდესას მიმართეთ მიმართეთ ბ. გერცბერგს. ისაა იმ ინგლისელი კამპანიის წარმომადგენელი, რომელიც შაბიამანით ვაჭრობსო.

თფილისელი გაზეთის ცნობა და ინგლისელი კონსულის რჩევა, საუბედუროთ, ერთობ დაგვიანებული გახლავს. მას აქეთ ბევრ წყალს ჩაუვლია და დიდი ცვლილება მომხდარა. ალბათ კონსულს დიდი ხანია გაუგზავნია ის წერილი, თორემ როგორ არ ეცოდინებოდა, რომ დღეს შაბიამანის გამოზიდვა ინგლისიდან—რომელიც უმთავრესი მწარმოებელია ამ საქონლისა—სასტიკათ აღიკრძალა ინგლისის მმართველობისაგან არა თუ ნეიტრალურ ქვეყნებისთვის, თვით ინგლისის მოკავშირეებისათვისაც?

ამ აღკრძალვის მიზეზი ისაა, რომ გერმანიას სპილენძის მადნები არ გააჩნია, სპილენძი კი და ბრინჯაო ბევრი უნდა სამხედრო საჭიროებისთვის. რადგან მის ქიმიურ ქარხნებს ადვილად შეუძლიათ სირმა-სპილენძად აქციონ, ლითონს გარდა, სურინჯი, ქანვარო, მურდასანგი, შაბიამანი, ბორდოს სითხე და სხვა, ინგლისმა ყველა ეს საგნები ომის კონტრაბანდათ იცნო და გასაზიდავათ აღკრძალა. უკანასკნელ რვეულში Revue de Viticulture (№ 1083, გვერდი 275) მოყვანილია ცნობა, რომ საფრანგეთის სამინისტროს, ბევრი მეცადინეობის შემდეგ, როგორც იქნა, ინგლისის მართებლობისგან ნებართვა აუღია გაზიდოს ინგლისიდან მისი მევენახეებისთვის საჭირო შაბიამანი, იმ აუცილებელ პირობით, რომ საფრანგეთმა სრულიად აღკრძალოს ნეიტრალურ ქვეყნებში გატანა საფრანგეთიდან ყველა ჩამოთვლილი სპილენძეული საქონლისა. ამგვარივე ნებართვა, ამავე პირობით, იტალიის მართებლობასაც მიუღია ინგლისიდან. უამისოდ როგორც იტალიის, ისე საფრანგეთის ვენახები უწამლოდ დარჩებოდენ, რადგანაც იტალია, როგორც საფრანგეთი, მეხუთედ ნაწილსაც კი ვერ ამზადებს თვითონ იმ შაბიამნისაც, რომელიც მის ვენახებს სჭირიათ ყოველ

---

# ბაბაი, როგორც მგოსანი.

(მასალა კრიტიკისათვის).

„შენმა ჩანგმა აღგვამაღლა,
შენმა ჩანგმა გვასახელა
და შენს სახელს იმეორებს
მოწიწებით ჩვენში ყველა".

**სილოვანი.**

მე-XIX საუკ. ქართველ მგოსან-მწერალთა შორის ტყვილა დაუწყებთ ძებნას მგოსანს, რომელსაც ისე მოეხიბლოს საზოგადოება, ხალხი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როგორც აკაკის.

მე-XIX საუკ. ქართველ მგოსანთა შორის ტყვილა დაუწყებთ ძებნას მგოსან-მწერალს, რომლის ნაწარმოებს, რომლის შემზადებულ სულიერ საზრდოს ისე დაწაფებოდეს ხალხი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როგორც აკაკისას.

მე-XIX საუკ. მწერალთა შორის ვერ იპოვით იმისთანა მგოსანს, რომლის არსებაშიაც ისე უხვად მოეყაროს თავი უტყუარ, მგოსნურ თვისებებს, როგორც აკაკის არსებაში.

როგორი მგოსანია აკაკი?

აკაკი—ეს ისეთი მგოსანია, ისე მრავალმხრივია მისი უტყუარი ნიჭით აღსავსე არსება, რომ მისი დახატვა, გვარიანიც კი, შეუძლებელია დღეს, როცა ჯერ კიდევ თვალები ცრემლითა გვაქვს სავსე. აკაკის რიგიანი დაფასება-დასურათება ვერ შესძლო შვიდმა დეკემბერმაც კი იმ შვიდმა დეკემბერმა, რომელიც სამახსოვრო დღეთ დარჩება მე-XIX საუკ. ქართული ლიტერატურის ისტორიაში. აკაკის რიგიანი დასურათხატება, მაზედ რიგიანი მსჯავრის გამოქვეყნება ვერ შესძლო რვა თებერვალმაც კი, იმ რვა თებერვალმა, რომელმაც ერთ გრძნობად გადააქცია მგოსნის ფასდაუდებელი ჩანგური-საქართველო და ამ უკანასკნელის საყვარელი სიმები—ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი. აკაკის სრული დაფასება მომავლის საქმეა, როცა მიუთვნელი კრიტიკა თავის წმინდა მოვალეობად დაისახავს მგოსნის ყოველმხრივ განხილვა-გარჩევას.

ამ ჟამად კი ჩემი სურვილია მკითხველის ყურადღება მივაქციო აკაკის, როგორც მგოსნის, თვალსაჩინო თვისებებზე, იმ თვისებებზე, რომლებიც ნათლად იხატება იმ ადამიანის გონებაში, რომელსაც გაუცვნია ხელოვანი მგოსანი, შეუსწავლია მისგან განსპეტაკებული ენა და შეუსისხლხორცებია მგოსნის თხზულებანი.

პირველი უტყუარი თვისება, რომელიც იქცევს ჩვენ ყურადღებას, რომელიც გვხიბლავს და გვიწვევს საყვარელ თანამემამულის თაყვანისსაცემად არის ის, რომ **აკაკი ბუნებით მგოსანია.** ზეგარდმო მონიჭებულ პოეტურ მადლს მოუკალათებია აკაკის არსებაში; ეს ფასდაუდებელი პოეტური მადლი მუდმივი თანამგზავრია საყვარელი მგოსნისა: ის არ სტოვებს მას სიყმაწვილეში, არ სტოვებს ვაჟკაცობაში და, რაც გასაკვირველია, არ ანებებს თავს ღრმა მოხუცებაშიდაც. მოხუცების დროსაც ისე, როგორც სიჭაბუკის ხანაში, მუზა აკაკისა განუშორებლად დაფრინავს ამ უკანასკნელის ჭაღარა წვერებთან და, ჩვენდა სასიამოვნოდ, აძლევს მას ძალას კვლავინდებურად დაატკბოს ქართველი კაცის სმენა მადლიანი ჩანგურის ჟღერით.

იმ დროს, როცა სხვა ზოგიერთ „ძალით მგოსნებს" ემჩნევათ ნაძალადევი ლექსის თხზვა, მუზის ძახილი, რითმების ძებნა, ხელების ფშვნეტა, ლექსის ერთი ხანის დაწერიდან მეორე ხანის დაწერამდის ხანგრძლივი შესვენება,—აკაკიში ამაების მსგავსს ვერაფერს იპოვით. მისი ლექსი ჩამოსხმულია, თავისუფალია, მსუბუქია, ადვილი გასაგებია, უბრალოა, ტკბილია, არავითარი ნაძალადეობა არ ეტყობა.

აკაკის ლექსის გონიერი მკითხველი მშვენივრად ამჩნევს, რომ მგოსანი უმაღლესად დაჯილდოებულია ბუნებითი, თანდაყოლილი პოეტური ნიჭით. აკაკის ლექსის სრულიად უბრალო, მაგრამ ამასთანავე დამაფიქრებელი შინაარსი, ძალდაუტანებელი მიმდინარეობა ცხოველ და სპეტაკ აზრ-გრძნობათა, სასიამოვნო მუსიკალურ-ჰარმონიული ენა, სიტყვისა და ლექსის ხელოვნება,—ყველა ესენი ისე არიან ერთი მეორესთან შესისხლხორცებული, რომ გონიერ მკითხველს აფიქრებინებს—პოეტს უთუოდ სრულიად მზაზე-მზა გონებით გადაქვს ქაღალდზედაო, აფიქრებინებს, რომ პოეტი მხოლოდ გადამწერის როლს თამაშობსო. მართლაც და ნიჭიერი მგოსანი უცვლელად აქვეყნებს მას, რასაც უკარნახებს მგოსანთა ღმერთი და დიდ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს აკაკისათვის ის გარემოება, რომ ის ნაკარნახებში შეცდომას არ უშვებს იმდენად დაჯილდოებულია ციური ნიჭით. საყვარელი აკაკი გულწრფელად აღიარებს ერთს თავის ლექსში, რომ ის მხოლოდ იარაღია მუზის ხელში, აი რას ამბობს იგი:

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი
ხან არც ისა ვარ, არც ისა
გარემოების საყვირი
არც მიწისა ვარ, არც ცისა.
ნუ მკიცხავ მნახო უგნურად
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა;
სულ სხვა ყავს სულის უფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა".

აიღეთ კრებული აკაკის ლექსებისა, წაიკითხეთ პირველ გვერდზე მოთავსებული ლექსი; ამ ლექსის წაკითხვა ისე იმოქმედებს თქვენზე, რომ უთუოდ აღგეძრებათ სურვილი ამ ლექსის ქვევით დაბეჭდილ ლექსის წაკითხვისა, ამ უკანასკნელის წაკითხვა გამოიწვევს თქვენში შემდეგი ლექსის წაკითხვის სურვილს და, ასე, რამდენს ქვევით მიდიხართ, იმდენათ უფრო დიდია თქვენი სურვილი ერთი ლექსიც არ დასტოვოთ წაუკითხველი იმ წიგნში, სადაც თავმოყრილია ძვირფასი მგოსნის ლექსები. რას ამტკიცებს ეს? იმას, ჩემის ფიქრით, რომ აკაკის ლექსები ნაძალადევი არ არის, მას, რომ ამ მარგალიტი ლექსების დამწერის არსებაში დაბუდებულია ღვთიური მადლი, ნამდვილი პოეტური ნიჭი; მას, რომ მუსიკალურ-ჰარმონიული ლექსების შემთხზველი ბუნებით მგოსანია და არა „ძალით მაცხონე"—მერითმე პოეტი, რომლის ლექსთა კრებულის პირველ გვერდზე დაბეჭდილ ლექსის წაკითხვის შემდეგ ზანტად შლით რამოდენიმე ფურცელს და კითხულობთ, თუ, რასაკვირველია, ლექსის სათაურმა მიიქცია თქვენი ყურადღება, თუ არა და საჩქაროდ დაკეცილი წიგნი იქ ყურეში მოადენს ტყეპას.

აკაკი რომ ბუნებითი მგოსანია, ეს ყველაზედ უფრო, ცხადად იქიდან სჩანს, რომ მას ლექსის წერა არ შეუწყვეტია ღრმა მოხუცებულობის დროსაც. მან უკანასკნელი ლექსი დასწერა მაშინ, როცა ხანგრძლივი სიცოცხლით და მუდმივი შრომით დაქანცული ემორჩილებოდა ბუნების კანონს—კვდებოდა...

აკაკის კალამი მუდამ სველი იყო დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა თვით ცივ სამარემდის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მშვენივრად იცის მგოსანმა, რომ ის ციური მადლი, ის „ციური ნაპერწკალი", რომელიც მის არსებაში ჩაბუდებულა, ის ჩანგური, რომელიც განგებას მისთვის უჩუქნია მისი თანამგზავრია, მისი საკუთრებაა თვით სიკვდილამდის:

„შენი ქება და დიდება,
შენი ლხინი და ჭირიო,—
მაღლიდან გადმომძახეს
ქამანჩაა და სტვირიო...
კუბოს კარამდე მიგყვება
ვით ძმას და მეგობარსაო
და რომ მოკვდები, შენს ამბავს
გადასცემს მთა და ბარსაო".

ერთგულმა მუზამ აღუსრულა დანაპირები საყვარელ მგოსანს: მიყვა კუბოს კარამდე და... განშორდა... განშორდა, მაგრამ არ დაივიწყა მეორე დანაპირებიც: მგოსნის დიდების ამბავი გადასცა კიდითკიდეს, მთა და ბარს, არე-მარეს, ქართველებს და არა ქართველებს. ამის დამამტკიცებელ საბუთად ხომ საუკუნოდ დარჩება რვა თებერვალი.

— —

იმ მრავალ დაუფასებელ თვისება-ღირსებათა შორის, რომლებითაც დაჯილდოებულია მგოსანი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გულ-ახდილობას, დიახ აკაკი **გულახდილი მგოსანია.**

გულწრფელობა—ეს საუკეთესო თვისება ადამიანისა საზოგადოთ და კერძოდ მგოსნისა თავიდგანვე-სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან—ემჩნევა აკაკის. მას მშვენივრად ესმის დანიშნულება მწერლისა, ამ უკანასკნელის პასუხის მგებლობა ხალხისა და სინიდისის წინაშე. „მწერლობა, ამბობს აკაკი, უცნაური სარკეა, სადაც ქვეყნის ძველი და ახალი ავკარგიანობა უმეტნაკლოდ, უნდა პირდაპირ იხატებოდეს და არა კერძო საპირადო სანავარდო სარბიელი. მწერალი კი დიდი მოძღვარია ქვეყნისა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს. დანარჩენი ოთხი მეხუთედი (საშუალო რიცხვით სამ-სამი მ ლიონი ფუთი წელიწადში) მათ ინგლისიდან მოაქვთ ხოლმე.

ომიანობის მიზეზით შაბიამანი ამ მარტში საფრანგეთში ღირს ფუთი ოთხმანეთნახევრად, იტალიაში (ნეაპოლში) ის ოთხ მანეთად და თვრამეტ შაურად ფასობს. ამას წინათ (ნოემბერში) ის სამ მანეთად და ოთხ აბაზად იყიდებოდა. მაშ საფრანგეთში შაბიამანი გაძვირებულა ფუთზე მარტო 70 კაპეიკით, ესე იგი 18 პროცენტით. მაინც ეს მდიდარი ქვეყანა ბღავის: გავიცარცვენითო! ჩვენში, უწინ რომ ფუთ შაბიამანს ოთხ მანეთად იძლეოდენ, დღეს თექვსმეტადაც ველარ ვშოულობთ, და ამ საგანზე არავინ კრინტსაც არ სძრავს. თითქო ვენახების დაზიანება და ახმობა ჩვენთვის არას ნიშნავდეს! ბატონიშვილები ვბრძანდებით, დიდი და პატარა. როგორ გვეკადრება გოგირდზე და მდაბიო საგანზე ზრუნვა? რა გვენაღვლება, რომ ეს ყოვლად საჭირო წამალი 400 პროცენტით მეტს პასობს დღეს, და ხვალ იქნება რვაას პროცენტითაც გაძვირდეს, ვინემ ომიანობის წინ იყო! ჩვენი საკადრისი „ქალი გრძნეულის“ გასჯაა, და მის შესახებ მჭევრმეტყველება...

ინგლისის კონსულმა ჩვენი დაუმზადებლობა მმართველობას მიაწერა. მმართველობას დღეს ჩვენთვის არ სცალია, და არც მმართველობის საქმეა ამგვარ ადგილობრივ საჭიროებათა კვლევა. პატრონი ადგილობრივ უნდა გვყავდეს, და ასეთ პატრონად ყოველგან მარტო ერობა (ЗЕМСТВО) გამოდის. იტალიაშიაც, საფრანგეთშიაც მარტო ერობის მეოხებით იქაურმა მართველობამ იშუამდგომლა ინგლისის წინ შაბიამნის აღკრძალვის ახსნაზე. ჩვენც რომ ერობა გვყოლოდა, ჩვენი მართებლობაც ისე მოიქცეოდა, როგორც საფრანგეთისა. „შვილმა თუ არ იტირა, დედა მის საჭიროებას როგორ გაიგებსო“, ამბობს რუსული ანდაზა. ერობა რომ გაგვაჩნდეს, ის რუსეთის მმართველობასაც ამ საგანზე აამოძრავებდა, და თვითონაც ხაზინის დახმარებით გამოიწერდა საჭირო გოგირდს და შაბიამანს, მევენახეების დახმარებისათვის ხელსაყრელ ფასად. ამით ის მათაც ხელს გაუწყობდა და ბარაქას მისცემდა, და თვითონაც მოგებას დაინარჩუნებდა.

დიახ, ამ მაგალითზედაც აშკარა სჩანს, რომ უერობა უმთავრესი მიზეზია ჩვენი ჩამოქვეითებისა და სიღატაკისა: აი, რამოდნად ჩამორჩენილი ვართ სხვა განათლებულ ქვეყნებზე. იმას ვინღა ჩივის, რომ ერობა რომ გაგვაჩნდეს, და ჩვენი ერობა რიგიანი მეთაურების ხელში მოიქცეს, მალე სხვისი სავედრებელი არა გვექნება ისეთს საქმეში, როგორც შაბიამანის და გოგირდის შოვნაა ჩვენი ვენახებისთვის და ბევრ სხვა შინაგან საჭიროებისთვის. ცოტაა, განა, ჩვენში სპილენძის სურინჯის (МѢДНЫЙ КУПОРОСЪ) მადანი? რაჭაში, გურიაში, ლეჩხუმში ის ოხრად ჰყრია. რამდენ სიკეთეს შესძენდა ჩვენს ქვეყანას და თვით მმართებლობას ამ მადნეულობაზე სპილენძის, შაბიამნის და გოგირდის წარმოების გაჩენა! ყოველგვარ დახმარებასა უჩენდა ასეთ საქმეს ხაზინაც, რომელსაც როგორც სპილენძი, ისე გოგირდი მხედრობისთვის ნიადაგ ესაჭიროება, განსაკუთრებით კი—ომიანობის დროს, როცა მათი მიღება უცხოეთიდან შეუძლებელი ხდება.

ეს ოცნება—და ბევრი სხვაც—სინამდვილედ იქცეოდა, პატრონი, ესე იგი ერობა, რომ გვღირსებოდა. თუ გვსურს წელში გავიმართოთ, პირველი ნაბიჯი ამ მიზნისკენ ერობის შოვნაა. მის მაგიერობას არა თუ არავინ შვრება, ვერავინ იზამს.

**ნ. ნიკოლაძე.**

---

# საყურადღებო განზრახვა.

სამწუხაროდ ჩვენში ყოველგვარ საამხანაგო საქმეს სახელი აქვს გატეხილი. ვისაც უნდა დაუწყოთ ლაპარაკი რამე საამხანაგო განზრახვაზე კულტურულია იგი თუ კომერციული, ყველა გულგრილად მოგისმენს. ზოგიერთი არც კი დაგათავებიებს აზრს და წინდაწინვე გეტყვის: ვიცი ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ჩვენში ღმერთმა გაშოროსო“. მომთმენი მსმენელი ყველაფერს გათქმევიებს, მაგრამ ბოლოს გულის სიღრმიდან ამოიკვნესებს და გეტყვის: „სწორეთ უბედურებაა, რომ არაფერ სასარგებლო საქმეს ჩვენში ნიადაგი არა აქვს, თუ ის ამხანაგობამ დაიწყო ანუ მისი ინიციატივა რომელიმე ჯგუფმა იკისრაო“.

ერთი სიტყვით ჩვენში საერთოთ აღიარებულია და ღრმა რწმენათ არის გადაქცეული ის აზრი, რომ საზოგადო საქმე ფეხს ვერ იკიდებს და თუ დაწყებისათანავე არ ჩაქრა დიდხანს მაინც ვერ იფორჯალებს და დღეს თუ ხვალ სამწუხაროთ დასრულდება.

სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ საზოგადოების ასეთი აზრი უსაფუძვლო არ არის; საზოგადოების ამგვარი რწმენა დამყარებულია მწარე გამოცდილებაზე და სამწუხარო წარსულზე ვერც ურჩობას და ვერც ახალი საქმისათვის უყურადღებობას ჩვენ ხალხს ვერ დავწამებთ, პირიქით ჩვენი ხალხი მზათაა კარგი მაგალითი გადაიღოს და ძველი ტრადიცია შესცვალოს.

მართლაც არავითარ ჰირვეულ მოვლენას, როგორც რუსეთშია მაგალითად მწვალებლობა (РАСКОЛЪ) ჩვენს ისტორიაში ადგილი არა აქვს. მაშ რად წაუხდა გული ჩვენ ხალხს და რად ვერ ბედავს ესა თუ ის სასარგებლო საქმე საამხანაგო წესით დაიწყოს და საზოგადოებრივი ძალღონით მოაწყოს? იმიტომ რომ რამდენიმე ასეთი მაგალითი სამწუხაროთ დასრულდა.

შორეული მაგალითები რომ არ გავიხსენოთ, ახლო წარსულში იყო ასეთი სამწუხარო შემთხვევა—მოვაწყვეთ მომხმარებელი საზოგადოება „პროგრესი“ და საზარალოთ დასრულდა,—შეგვძინა მარტო მწარე გამოცდილება. ცხადია ასეთი მაგალითები გულს გაუტეხს კაცს და ენერგიას მოაკლებს, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა იმის საბუთად, რომ ერთხელ ნაზარალევი, მეორეთ არას ვეცადოთ. ათჯერ და ასჯერ რომ ვიზარალოთ უკან მაინც ნუ დავიწევთ; აუცილებელია უნდა ვებრძოლოთ დამაბრკოლებელ პირობებს და ხელის შემშლელ გარემოებას მანამდი, სანამ ჩვენ ხალხს ვერ შევაჩვევთ საზოგადოებრივი ინიციატივის პატივის ცემას, უნდა ვიბრძოლოთ მანამდი სანამ ჩვენ ხალხში საკმაოთ ვერ განვავითარებთ საზოგადოებრივ ინსტიქტს და ვერ შევაგნებიებთ ყველას, რომ ნამდვილი აღორძინება მეურნეობისა და ოჯახური სფეროს გაუმჯობესება სხვა გზით არ შეიძლება.

აუცილებელია შეერთება, შეთანხმება და საერთო ძალით ცხოვრების საჭიროების მოწესრიგება და დაკმაყოფილება. ამას გვიკარნახებს ცხოვრების კანონი და ამას გვასწავლის ისტორია. რასაც დღეს ვერ ვახერხებთ, აწი უნდა მოვახერხოთ, ვეცადოთ და ვივარჯიშოთ სანამ მიზანს არ მივსწვდებით, გაჩერება სიკვდილის ნიშანია.

მართალია ჩვენში კერძო საკუთრების მომხრე მეტია, ვინემ საზოგადოსი, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ აქ კოოპერატიული მოქმედებისათვის ნიადაგი არ არის. კერძო წარმოებაც საჭიროა და მისი გაძლიერებაც სასარგებლოა, მაგრამ ამავე დროს თუ საზოგადო ძალები არ შეკავშირდა და მტკიცე ნიადაგზე ამხანაგობა არ იშვა, ისე კერძო წარმოებით საზოგადო კეთილდღეობა არ დამყარდება. როცა ვაჭრობაში კერძო ინტერესი მოქმედობს და პირადი ანგარიშებია გამეფებული მაშინ საზოგადოების ინტერესი სასტიკათ ილახება. კერძო წარმოების შეზღუდვა, მისი ფარგალში ჩაყენება, მისი მოწესრიგება და სწორ, კანონიერ და პატიოსან გზაზი დაყენება შეუძლებელია ისე, თუ გვერდით საზოგადო, კოოპერატიული წარმოება არ გაძლიერდა კერძო წარმოებით შექმნილ ბოროტებას, მხოლოდ კოოპერატიული ინიციატივა მოსპობს. ავიღოთ ჩვენი ქუთაისი და გავითვალისწინოთ რასა ვხედავთ. აქაურ ვაჭრობაში არც არსებობს ნიხრი არც ხარისხი. ქალაქის გამგეობა ცალკე ცდილობს წესიერება დაამყაროს, ადმინისტრაცია ცალკე, მაგრამ მართალი რომ ვსთქვათ, ნაყოფიერი შედეგი არ აქვს არც ერთის მეცადინეობას.

აი მაგალითი.—უსაჭიროესი საგანია ცხოვრებაში—პური. ქფვილზედაც არსებობს ნიხრი და გამომცხვარ პურზედაც, მაგრამ ფაქტიურათ ნიხრი არ სრულდება. თუ ნიხრზე იშოვეთ პური, იცოდეთ, რომ იქ ხარისხში სისწორე არ არის დაცული და თვით შემადგენლობა პურის საეჭვოა. რომელი ნორმის ფქვილი რომელშია არეული, რა ზომით არის შეზავებული და როგორ არის მომზადილი არა თუ სხვამ, მგონი, თვით, გამკეთებელმაც არ იცის.

ამგვარად ფულს ვიძლევით, ნიხრს გამყიდველის ბრძანებით ვღებულობთ, მაგრამ კარგი ხარისხის პურს წმინდათ მომზადილს მაინც ვერ ვშოვობთ, რატომ? მიტომ, რომ მეფქვილისათვისაც და მეპურისათვისაც უფრო სასარგებლოა მყიდველის მოტყუება და ნაკლები მასალის გასაღება. რამ შეაკავოს აქ ვაჭრის თვითნებობა? პატიოსნებამ თუ კანონის წინაშე პასუხის გების შიშმა? როგორც ვხედავთ არც ერთი აღარ აკავებს.

რა საშვალებით დავახწიოთ თავი ასეთი გასაჭირიდან? მივმართოთ საჩივარს, სასჯელს, სიმკაცრეს? ასეთი ზომები კარგი და მოსაწონი არასოდეს არ არის, მაგრამ ახლა სხვაფრივაც მოუხერხებელია ეს ზომები. სასჯელი იქ არის შესაძლებელი, სადაც წესიერებას ზოგიერთი არღვევს, სადაც უმცირესობაა დამნაშავე, ჩვენ თვალ წინ კი სულ სხვა სურათია: ჩვენში დამნაშავობა ხშირი მოვლენაა, მოხერხება და სიყალბე უმეტესობის ხელობაა, სისწორე კი გამონაკლისს შეადგენს. ასეთ პირობებში ადმინისტრატიული სასჯელი ვერ გვიშველის. ჩვენ სულ სხვა გზა უნდა მოვსძებნოთ. გზა საიმედო და ცხოვრების უტყუარ კანონზე დამყარებული. ასეთი გზა არის **კოოპერატიული მოქმედება**.

პირველი ნაბიჯი უნდა იქნეს კოოპერატიული საცხობის მოწყობა. კარგათ მოწყობილი კოოპერატიული ფურნე **ფაქტიურად სწყვეტს ფქვილისა და გამომცხვარი პურის ფასსაც და ხარისხსაც**. მასალის ღირებულება და ღირსებაც ცხადი იქნება. ეს ფურნე მოგვცემს თვალსაჩინო საბუთს დავანახოთ საზოგადოებას კერძო წარმოებაში დამკვიდრებული სიყალბე და უწესოება. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, რომ კოოპერატიული ფურნე ტეხნიკურათ კარგათ მოეწყოს და წარმოება სწორ ნიადაგზე დადგეს.

თუ კოოპერატიულმა ინიციატივამ ამ დარგში მოიკიდა ფეხი და აგრძნობინა საზოგადოებას ამის სარგებლობა, მერე ადვილია სხვა დარგშიც მოეწყოს საქმე. კოოპერატიული ფურნე იქნება სასინჯი ნაბიჯი.

დღეს უკვე განზრახულია კოოპერატიული ფურნის მოწყობა; შემდგარია ამხანაგობა და სულ მალე შეუდგებიან საქმეს. სასურველია, რომ საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდეს ამ ძლიერ საჭირო და სასარგებლო განზრახვას· ყოველთვის საჭირო იყო საზოგადო ინიციატივის მხარის დაჭერა და ახლა მაინც როცა ვაჭრობაში სრული თვითნებობა გამეფდა და ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის, კოოპერატიული მოქმედება აუცილებელია.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

---

# განცდა.

განვლო აღდგომის სადღესასწაულო დღეებმა. ხალხი, რომელიც ამ ბრწინვალე დღეებს ჩვეულებრივი სიხარულით და ზეიმით ხვდებოდა, დღეს მას არა ჩვეულებრივი გლოვითა და მწუხარებით შეხვდა.

დიახ არა ჩვეულებრივი იყო წლის აღდგომა. ის უფრო მაგდანელის ცრემლებს გვაგონებდა, ვიდრე აღდგომა ღამეს მოციქულთა კრებით „ქრისტე აღსდგას“...

ერი, რომელმაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში განიცადა მრავალი ტანჯვა-წვალება, მტარვალთა დამამტიცებელი უღელი, აოხრება და განადგურება რომელიც თავის სამშობლოს მიწაწყალს ათასი წლების განმავლობაში სისხლით რწყავდა და ამ წმინდა სისხლითა და აუარებელი მსხვერპლით ავად თუ კარგათ იხსნა თავისი არსებობა, დღესაც განიცდის სისხლის ღვრისა, ტანჯვისა და ცრემლების ხანას.

ერთი მშვენიერი ნაწილი—აჭარა... ამბობენ უბედურებას თან ბედნიერება სდევსო. თუ მრავალტანჯულმა საქართველომ მამა-პაპათა სისხლისა და აუარებელი მსხვერპლთა მეოხებით მიაღწია მეოცე საუკუნემდე, დე ახლანდელი მწუხარება და სისხლი იქცეს საძირკვლად უკეთესი მომავლისა.

**ბ. ჯაიანი.**

---

ყურს უგდებენ აწ და მარადის და მიტომაც მისი მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე დიდია! კერძოობით რამ საპირადო, მტერ-მოყვრობა, მისიან-სხვისიანობა და სხ. მის გულს არ უნდა ეკარებოდეს. ვინც ამას გადაუხვევს ის არის ჭეშმარიტების გამყიდველი, იუდას თანაზიარი“.

აკაკი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროიდანვე გაიმსჭვალა იმ აზრით, რომ გზა, რომელიც მან აირჩია და რომელზედაც ის უნდა დაადგეს ეკლიანია, უსწორ-მასწოროა და მისი რიგიანი გაკაფვა გათელისათვის საჭიროა იარაღი, იარაღი საიმედო, ორივე გვერდით მჭრელი. ამ გვარ იარაღად მგოსანმა სცნო და აირჩია პირდაპირობა, გულწრფელობა:

„გამიქვავდეს მე ეს ენა,
თუ რომ ვისმეს მივეფერო
და გამიხმეს ეს მარჯვენა
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო...

——

სხვისი ლხინით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემ თავს დავრჩი ავად
და მაინც არ აღვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად“.

ნიჭიერი მგოსანი სრული დარწმუნებული იყო მასში, რომ მხოლოდ პირდაპირობა მოსპობს სისაძაგლეს და ბოროტებას, დასცემს რაც დასაცემია და გაანადგურებს რაც გასანადგურებელია; აკაკი მშვენივრად ატყობს თავიდანვე, რომ მისი სიტყვა-მოქმედება საზოგადოების ერთი ნაწილისათვის იქნება სამკურნალო მალამო, მეორე ნაწილისათვის კი ძიმწარე, ზოგს ეტკბილება, ზოგს არა; მან ძლიერ კარგად იცის, რომ მისი გულწრფელი, გულახდილი, პირდაპირი სიტყვა და საქმე გაყოფს მგოსნის ჩანგურის მსმენელებს ორ ნაწილად. მოყვრებად და მტრებად. მაგრამ ყველა ამაებს ის გულგრილად შეხვდება, რადგანაც იცის თუ რა არის მგოსნის დანიშნულება:

„მაშ ნუ გწყინს გულო, კაცთაგან გმობა
ხელი გეძახონ ნუ გეწყინება;
შენ კი დაადექ შენს წმინდა აზრსა
და აღასრულე დანიშნულება“.

გულახდილობა,—ამ საუკეთესო თვისებას ისე ღრმად აქვს ფესვი გადგმული საყვარელი მგოსნის არსებაში, რომ ეს თვისება მუდმივი თანამგზავრია მისი, მის ხანგრძლივ ცხოვრებაში. ამ საუცხოვო თვისების მეოხებით აკაკისათვის ერთია: დიდი და პატარა, მოხუცი და ჭაბუკი, გლეხი, თავადი და აზნაური, ნასწავლი და უსწავლელი, მთიელი და ბარელი; ყველას მოურიდებლად, თამამად უმასპინძლდება მისი ტკბილ-მწარე ენა.

გულახდილობის ამ ძვირფასი თვისების შედეგია, რომ უკვდავი მგოსანი მოევლინა საზოგადოებას თავისებურ სამწერლო ნივთებით შეიარაღებული:

„ცრემლში მილესავს ნაღველი
და ძნელად ის მიხმარია,
შიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგან ცხადი ძმარია“.

„ცრემლი, თაფლი, ნაღველი და ძმარი“-აი რა და რა ერთი მეორეში გათქვეფილი ნივთიერებისაგან შესდგება ის მელანი, რომელსაც პირდაპირობის მოყვარე მგოსანი ხმარობს. სად ინახავს იგი ამ მელანს? გულში—აი რა არის გულახდილი ადამიანის საწერელი. ნეტავ რაღაა მგოსნის კალამი? ენა. დიახ ენა—ხან სამკურნალო მალამო, ხან სასიკვდილო ისარი. აკაკის საუკეთესო საკრავია ჩანგური, რომელსაც:

„ჯორა აქვს ია-ვარდისა
სიმი ბულბულის ენაო
ფრთები არწივის ასხია
შეშვენის მაღლა ფრენაო“.

აი ამ გვარ თავისებურ სამწერლო ნივთებით შეიარაღებული გულახდილი მგოსანი კისრულობს: აქოს რაც საქებია და აგინოს რაც საგინებელია, დაიცვას და ემსახუროს ჭეშმარიტებას და სიმართლეს, დასცეს და მიწა გაუთხაროს ბოროტებას. სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოს მჩაგვრელებს, წრფელი სიყვარული უძღვნას მოყვასს საზოგადოდ, უძლურსა და დაჩაგრულს განსაკუთრებით.

გულახდილობას ამ ადამიანურ თვისებადირსებას წყალობით აკაკი ყველაფერს კისრულობს, არაფერს არ ერიდება, თუ, რასაკვირველია, ამას მოითხოვს საზოგადო საქმე. არავის არ შეუძლია შეაჩეროს გულახდილი მგოსანი:

„თუ არ სიკვდილით... სიცოცხლით
ვერვინ შემიშლის ბოდვასა
და გამოვიტან საქვეყნოდ
დაფარულ მადლს და ცოდვასა“.

ჭეშმარიტების მქადაგებელ მგოსანს, ადამიანის დამამცირებელი პირბადე არ უყვარს: რაც აქვს გულში, ის გამოაქვს საქვეყნოდ:

„რადგან პირდაპირი თქმა
არის მისი ხელობა“.

და ეს თვისება-გულახდილობა ერთი საუკეთესო სამკაულთაგანი იყო აკაკისათვის, როგორც ნამდვილ ხელოვან-მგოსნისათვის.

(შემდეგი იქნება).

**გიორგი.**

---

# ახალი ამბავი.

✦ 24 მარტს, ქუთაისში ჩამოვიდა თფილისის ქალაქის ინჟინერი ბ. ქურდიანი. 26 მარტს, ბ. ქურდიანი, ნაქერალას კალთებზე წყაროების დასათვალიერებლათ გაემგზავრა, სადაც ერთ კვირას დარჩება წყაროს წყლის ღირსების და მიმდინარეობის გამოსარკვევათ.

✦ აკაკის დამკრძალავმა ქუთაისის კომიტეტმა დაადგინა ამ მოკლე ხანში გამართოს აკაკის დილა.

✦ ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობამ დაადგინა წლიური კრება მოახდინოს 23 აპრილს.

✦ 25 მარტს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში შესდგა ქ. წ. კ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის მორიგი კრება.

✦ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართოს საფიჩხიაზე გახსნას უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო.

✦ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი აცხადებს, რომ წერილების გაგზავნა სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციისაგან გამოცემული მარკებით აკრძალულიაო.

✦ გუშინ, 26 მარტს, დილის 9 საათზე, ქუთაისში ჩამოასვენეს გერმანიის საზღვრებზე მოკლული პორუჩიკი ილია საულის ძე კახიანის ნეშტი. პანაშვიდის გადახდის შემდეგ მიცვალებული დასაკრძალავათ თავის სოფელში (როკითი) წაასვენეს.

✦ 25 მარტს, ქუთაისის დრამატიული დასის ამხანაგობამ წარმოადგინა ჰაუპტმანის „დაძირული ზარი“. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ქუთაისის მაზრის, სოფ. ვანის მცხოვრები ვარლამ პავლეს ძე მგელაძე, რომელიც დაჯილდოებულია გერმანელებთან ბრძოლის დროს მამაცური მოქმედებისათვის გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვრებით, და გვთხოვა გამოვაცხადოთ, რომ მისი გვარი ამას წინათ შეცდომით ყოფილა გამოცხადებული თფილისის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ და „ზაკ. რეჩ“-ში. ბ.

მგელაძე სთხოვს ხსენებულ გაზეთების რედაქციებს შეცდომა გაასწორონ.

✦ საფირჩხის მცხოვრებლებმა მომავალი სამკითხველოს პასუხისმგებელ, გამგეთ აირჩია საფირჩხის სამრევლო სკოლის მასწავლებელი მარიამ კაპანაძე.

✦ სურათების გამოფენა. 28, 29, 30 და 31 მარტს, ქუთაისის უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებელში, ოლდენბურგის ქუჩაზე, გამოფენილი იქნება მოწაფეების მიერ დახატული სურათები. გამოფენაზე შესვლა უფასოა.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 30 მარტს.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეთა მეორე გამოცდა მათემატიკაში 26 მარტს მოხდა.

მეექვსე კლასის მოწაფეებს გამოცდები სამშაბათს, 31 მარტს დაეწყებათ.

✦ ქიათურის შავი-ქვის საბჭოში მუშაობა 30 მარტს განახლდება.

საოლქო სასამართლოს სხდომები 31 მარტს დაიწყება.

## თ ე ა ტ რ ი.

✦ დღეს ქარ. მსახიობთა ამხანაგობა მართავს სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია აქ. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და ორგინალური კომედია ივანე გომართლისა „იასონის ოინები“, ეს უკანასკნელი ჩვენმა ამხანაგობის დასმა კარგად და მხიარულად ითამაშა ამასწინად და საზოგადოებასაც ძლიერ მოეწონა. ამ პიესებში მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

✦ საცენზურო კომიტეტმა მთავარ მართებლის სამმართველოში გაგზავნა ნება დასართველად ახალი პიესა სობოლჩიკოვ-სამარინის Великій грѣшникъ“ „იუდას მემკვიდრე“ თარ. კ. ანდრონისა.

✦ ახალ კვირას ამხანაგობის დასი დასდგამს განახლებულად „სამშობლოს“, დამატებული იქნება „ლიტანია“, რომელშიაც მონაწილეობს მრავალი თანამშრომელი და ხორო.

✦ ცენზორმა ნება დართო მ. საენბლიძის ახალ ორიგინალურ პიესას „ცხოვრების ტალღები“, რომელსაც ამხანაგობის დასი ახლო მომავალში დასდგამს.

# მოქალაქეთადმი,

მოგახსენებთ, რომ ომის დროს ათასგვარი ჭირი და სნეულობა ჩნდება და, მაშასადამე, მეტი თადარიგია საჭირო.

დღეს, მადლობა ღმერთს, ქუთაისში შავი სახადით მხოლოდ ერთი—ლაავად და, ვისაც სჭირდა ეს საშინელი სენი, უკვე მოიხადა.

მაგრამ, როგორცა ვთქვით, ომის დროს ყველაფერი მოსალოდნელია და წინდაწინვე გვმართებს სიფრთხილე.

აღვნიშნავთ ორიოდე სიტყვით სხვადასხვა გადამდები სენის მიზეზებს.

მუცლის სახადი ჩნდება ავადმყოფის განავალით გაბინძურებული წყლისაგან. ქუთაისში ყოველთვის არის ეს სახადი და რიონს მუდამ ერთვის სიბინძურე, ამ სენის წარმომშობი ბაცილებით სავსე. ნუ სვამთ აუდუღარ რიონის წყალსა და აგშორდებათ ეს ერთი ჭირი.

ყვავილი ჩნდება ხშირად ამგვარად: რწყილი გამოსწოვს სისხლს ავადმყოფსა, შემდეგ უკბენს საღ ადამიანს და გადაადებს ამ სენს. მაშასადამე, რწყილის მოსპობას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სენის თავიდან ასაცდენად, მაგრამ საუკეთესო საშუალება მის წინაამდეგ—აცრაა.

რწყილსავე გადააქვს შავი ჭირი ავადმყოფიდან საღ ადამიანზე.

ეგრედწოდებული მბრუნავი სახადი (возвратный тифъ) ჩნდება ტანისამოსის ტილის კბენისაგან.

ტანისამოსის ტილივე წარმოშობს ეგრედწოდებულ შავ სახადს (спыной тифъ), რომელმაც იმსხვერპლა სხვათა შორის ჩვენი დეპუტატი ვარლამ გელოვანი. ვთქვათ, თქვენ გაათიეთ ღამე რომელსამე სასტუმროში და გიკბინათ ქვეშაგების ტილმა, თუ კბენარი ისეთმა ვინმე დასტოვა, რომელსაც უკვე ტანში სახადი ედგა,—უთუოდ შეგვხვდებათ ეს სენი.

ამიტომ არის ახლა სასტიკი ყურადღება მიპყრობილი სასტუმროების ქვეშსაგების სისუფთავეზე.

სამწუხაროდ, სად არ წააწყდება კაცი ტილს?! დილიჟანსი, რკინის გზის ვაგონი, უბრალო დუქანი, სადალაქო, რომელიმე დაწესებულება, სადაც თავმოყრილია ხალხი, და სხ. მაგრამ, როგორც ნათქვამიდან სჩანს, ყველაზე უფრო საშიში ამ მხრით—სასტუმროებია. ამიტომ, მგზავრობის დროს საკუთარი ქვეშსაგები, პირსახოცი, სავარცხელი, ტანისამოსის საწმენდი, და სხ. თან უნდა გქონდესთ.

და გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ტანისა და საცვლების სისუფთავე საუკეთესო საშუალებაა გადამდებ სენთა წინაამდეგ. ამიტომ, მივმართავ სახლების ამშენებლებს თხოვნით, რომ შენობის ერთი პატარა კუნჭული—საბანაოთახად გაიმეტონ ხოლმე!

რწყილების მოსასპობად კარგია ნავთი, სკიპიდარი, კარბოლის სიმჟავე, მალინინის თხელადი (жидкость малинина) და სხ. არის კიდევ ერთი საშუალება: დაუცევით თავი ცემენტით ან სხვა მასალით ოთახების ხვრელებს, რომ თაგვები ვერსაით შემოძვრენ, რადგან მათგან ჩნდებიან უმთავრესად რწყილები. ნუ გააჩერებთ ოთახებში აგრეთვე ძაღლებს, შორს ააშენეთ საღორეები და სხ.

ამას გარდა მოგმართავთ თხოვნით, როგორც დროებითი სასანიტარო ექიმი: გაისარჯეთ, ნუ დაიზარებთ ჩემთან შემოსვლას (დილის თერთმეტი საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის) ქალაქის უფასო სამკურნალოში და გამაგებიეთ ხოლმე, თუ სადმე უსუფთაობა ან სხვა რამე სანიტარული უწესოებაა. რაც ჩემზეა დამოკიდებული, თვითონ ავასრულებ, რაც არა და—ჩემ მიერ ხელმოწერილი პროტოკოლითურთ მიგიძღვებით გამგეობაში და ყოველსავე ღონისძიებას ვიხმარ რომ გაკეთდეს ის, რის გაკეთებაც კი დღევანდელ გარემოებაში შეიძლება. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ქალაქის თვითმართველობას ახლა ცოტა ექიმი ყავს, სხვადასხვა მოვალეობითა ვართ დატვირთული და, თუ მოქალაქეები არ დაგვეხმარებიან, საქმე შესაფერად ვერ მოწესრიგდება.

ექიმი ვ. წერეთელი.

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 23 მარტი. ოფიციალური, მთავარსარდლის შტაბისაგან. ნიმანის დასავლეთით 22 მარტს ზოგან ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია.

კარპატებში, 21 მარტს, ღამით და დილისით, ბარტფელდის ჩრდილოეთით მეტად მედგარი ბრძოლა გვქონდა ავსტრიელებთან. დავატყვევეთ 20 აფიცერი და 1200 სალდათი. ამავე დროს მეზოლაბორჩისა და უჟოკის შუა რუსის ჯარი წინ იწევდა. აქ ხელთ ვიგდეთ 2000 ტყვე და 3 ზარბაზანი, აგრეთვე ავიღეთ სადგური ცისნა, ვაგონები და საწყობი სამხედრო მასალისა. ჩერნოვცევის ჩრდილოეთით, სოფელ ოკნას მიდამოებში 23 და 21 მარტს ცხარე ბრძოლის შემდეგ ავსტრიელებმა უკან დაიწიეს და დაგვიტოვეს 1000 ტყვე.

სხვაგან შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

21 მარტს, შავ-ზღვაზე, ყირიმის ნაპირებთან ჩვენს ესკადრას შორ მანძილზე სროლა ჰქონდა ოსმალთა კრეისერებთან „გებენ“ და „ბრესლაუსთან“. ჩვენმა ესკადრამ საღამომდე სდია მტერს. ღამე ჩვენმა ნაღმოსნებმა იპოვეს მტერი ბოსფორიდან 100 მილის მანძილზე და შეუტიეს მას, მაგრამ კრეისერებმა ცხარე სროლა ასტეხეს და მიიმალნენ.

აღმოჩნდა, რომ ადესის მახლობლად ჩაძირული კრეისერი „მეჯიდიე“ ყოფილა.

**პეტროგრადი.** 24 მარტი. მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება და 22 მარტს, მის იმპერატორებით უმაღლესობას, უმაღლეს მთავარსარდალს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა.

„ჭეშმარიტად აღსდგა!

მხურვალეთ მივესალმები და გულითად მადლობას ვუძღვნი ჩემი ჯარისა და ფლოტის ყველა აურაცხელ მეომარს მძიმე და უმაგალითო, სანაქებო სამხედრო სამსახურისთვის“.

ეს დეპეშა პასუხია იმ დეპეშისა, რომელიც უმაღლესმა მთავარსარდალმა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს:

„ქრისტე აღსდგა!

თქვენი უდიდებულესობის მთელი არმია და ფლოტი გიძღვნისთ თქვენ თავის უქვეშევრდომილეს მხურვალე მილოცვას ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისას და ღრმათ სწამს, რომ ამ დიდებულ დღეებში უფალი განსაკუთრებით მოგვანიჭებს ჩვენ ძალას და უნარს დავამარცხოთ მტერი თქვენდა სასიხარულოთ და რუსეთის სადიდებლოთ.“

**პეტროგრადი.** 24 მარტი. 7—23 მარტამდი კარპატებიდან უჟოკისა და ბალიგრადის შუა ფრონტზე ბრძოლების დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 378 აფიცერი, 11 ექიმი და 33150 ჯარის კაცი. ავსტრო-უნგრეთის ჯარს წავართვით 17 ზარბაზანი და 101 ტყვიისმტყორცნელი. ამნაირათ ამ ფრონტის ერთ-ერთ ნაწილს, რომლის სიგძეც დაახლოვებით 15 ვერსს უდრის, ზემონაჩვენებ რიცხვიდან შეხვდა 117 აფიცერი, 16928 ჯარის კაცი, 8 ზარბაზანი და 59 ტყვიისმტყორცნელი.

**პეტროგრადი.** მიუხედავათ ჩვენი ყველასათვის თვალსაჩინო გამარჯვებისა და წინწაწევისა კარპატებში, ავსტრიელები თავის ოფიციალურ მოხსენებებში მაინც დამტკიცებით განაგრძობენ ისეთი ცნობის გამოქვეყნებას, ვითომც მათ ჩვენთან ბრძოლაში წარმატება ქონდესთ. როგორც ჩანს, ასეთი ცნობების გამოქვეყნებას მიზნათ აქვს ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სულიერი განწყობილების განმტკიცებას, მაგრამ ბოლოს მაინც ავსტრიელები 21 მარტის მოხსენებაში იძულებული გახდენ აღიარებიათ ის ფაქტი, რომ ჩვენს შეტევას მათმა ჯარმა ვერ გაუძლო და იძულებული იყო რამდენიმე მანძილზე უკან დაეხია. სრულებით სამართლიანი იქნება ეს მოხსენება თუ მხოლოდ ორ შესწორებას შევიტანთ შიგ. პირველი: ავსტრიელების უკან დახევა მოხდა 15 ვერსის მეტ მანძილზე და მეორე: ცისნასა და გარნის რაიონათ თუ ვიგულისხმებთ მეზოლაბორჩისა და უჟოკის გზებს შუა მდებარე მთელს რაიონს. გარდა ამისა მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ორი კვირის განმავლობაში ჩვენ მიერ ხელში ჩაგდებულ ტყვეების რიცხვი, რომელიც განისაზღვრება ათი ათასობით.

22 მარტს, ჩვენი ცხენოსანი ჯარის მოწინავე რაზმმა, ერთი ბრიგადის ძალით, რომელსაც იფარავდა უმნიშვნელო ნაწილი ქვეითა ჯარისა, სოფ. ოკნას გზით, ჩერნოვცევის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იერიში მიიტანა მტერზე. სოფ. ოკნას წინ ავსტრიელებს ძლიერათ გამაგრებული პოზიცია ეჭირათ. ჩვენი რაზმი იერიშით შეიჭრა ამ პოზიციაში და თავგანწირულ ხიშტიან ბრძოლის შემდეგ უკუაგდო მტერი სოფ. ოკნასკენ. 25 გონვენდის პოლკის ორი ბატალიონი ამ ბრძოლაში მთლათ ამოიჟლიტა.

ამ მამაცური ბრძოლის დროს ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში 21 აფიცერი და 1000-ზე მეტი ჯარის კაცი. წავართვით მტერს 8 ტყვიისმტყორცნელი. მიმდინარე კვირაში ეს მეორე ბრწყინვალე გამარჯვებაა ჩვენთვის ამ რაიონში. 23 მარტს ჩვენი არტილერიის ცეცხლმა გერმანელების პოზიციების რაიონში დაანგრია ხიდი მდ. როზოგზე (?) სოფ. ვახის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

## რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 24 მარტი. მთავარსარდლის შტაბისაგან მდ. ნიმანიდან სამხრეთით, 23 მარტს, მარიამპოლის, ლიუდვინოვისა და კალვარიის მიდამოებში ბრძოლას კერძო ხასიათი ჰქონდა. კარპატებზე, 22 მარტს, ვარტფელდის გზით ჩრდილოეთის რაიონიდან მთელი ფრონტზე უჟოკის გზამდი წინ წავიწიეთ. როსტოკის მთაგრეხილის რაიონში, ჩვენ წინ წავიწიეთ, მთის ქედის დიდი ნაწილი და სამხრეთით მდებარე სოფლები სმოლნიკი და ორშ-რუშკა დავიჭირეთ. ავსტრიელების ცდამ, კარპატების ქედის რამდენიმე ადგილში რომ ჩვენი შეტევა შეეჩერებია, უნაყოფოთ ჩაიარა და მტრის ყველა იერიში მათთვის დიდი ზარალით მოგერიებულ იქნა. ავსტრიელები უკან იხევდენ და თან ხიდებსა და სურსათის საწყობებს ცეცხლს უკიდებდენ. კარპატების ფრონტზე დღე-ღამის განმავლობაში დავატყვევეთ 20 აფიცერი და 1500 მეტი ჯარისკაცი. ჩვენი ფრონტის სხვა ადგილებში არტილერიის ცეცხლითა და თოფით იშვიათი ბრძოლა იყო. მზვერავთა რაზმები აგრეთვე დიდ მხნეობას იჩენდენ. პერემიშლიდან გამოყვანილ ტყვეების რიცხვი 9 გენერალსა, 2307 აფიცერსა და 113890 ჯარის კაცს უდრის, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა რაიონებში არიან გაგზავნილი.

**პეტროგრადი.** 25 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 22—23 მარტამდი ოსმალების ყველა იერიში მოგერებულია. ოლთინის გზით ჩვენმა ჯარმა ოსმალები უკუაქცია, რომლებსაც პოროხის გასწვრივ დიდი პოზიცია ეჭირათ. ბევრი დავატყვევეთ, სხვა ფრონტებზე უმნიშვნელო სროლაა.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 24 მარტი. საღამოს 11 საათის ოფიციალური ცნობა. მთელი დღის განმავლობაში მთელს ფრონტზე ნისლი იდგა და წვიმდა. სენმილის სამხრეთ აღმოსავლეთით ელმის ტყეში ერთმანეთზე მიყოლებული თხრილების სამი ხაზი დავიკავეთ. ამას გარდა კონვილის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერს წავართვით ნაწილი საველე სიმაგრისა.

**ლონდონი.** 24 მარტი. ფელმარშალი იტყობინება: 21 მარტს, დილით, ლაბასეს ახლოს გერმანელების სანგრებში ნაღმი ავაფეთქეთ, რომელითაც 100 საჟენის მანძილზე თხრილები და აგურის შენობა განადგურდა. გერმანიის არტილერიამ ამ რაიონში ჩვენს ფრონტს ძლიერათ და უშინა ცეცხლი. ჩვენი ჯარი მეტ წარმატებასა და მხნეობას იჩენს.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**კიევი.** 24 მარტი. ამ დღესასწაულებში პერემიშლიდან და კარპატებიდან აქ 50000-ზე მეტი ტყვე მოიყვანეს.

**პეტროგრადი.** 25 მარტი. დღევანდელ დილის გაზეთებში მოთავსებული ის ცნობები, ვითომ სერბიის ელჩს გარეშე საქმეთა მინისტრისთვის მაკედონიაში მემამულეთა შეჭრის შესახებ ნოტა ჩაებარებინოს, სიმართლეს მოკლებულია.

**სტოკჰოლმი.** 25 მარტი. აკრძალულია რქიანი საქონლისა და ღორების გაყვანა, აკრძალულია აგრეთვე სპილენძეულობის გატანა. შვეციისა და რუსეთის წარმომადგენელთა კონფერენცია გაიხსნა, რომელზედაც შვეციისა და რუსეთის რკინის გზების გაერთიანების საკითხი უნდა შეიმუშავონ.

**ათინა.** 25 მარტი. „ვრუღის“ ცნობით წარსულ შაბათს სმირნასთან ჰიდროჰაეროპლანი გამოჩნდა, რომელსაც თან სამხედრო გემი მოჰყვებოდა და სიმაგრეებს 50 ყუმბარა ესროლა. გუშინ დილით ინგლისის კრეისერი და საფრანგეთის ნაღმოსანი რამდენიმე ჰაეროპლანით გამოჩნდა, რომლებმაც სხვა სიმაგრეებთან ერთად ენიკალის სიმაგრესაც ყუმბარები დაუშინეს.

**ისფაგანი.** 25 მარტი. გუშინ მომთაბარეთა შორის 22,000 ფურცელი დაარიგა, რომელითაც სამღვდელოება მოუწოდებს ყველას ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტისადმი გარდა გერმანელებისა.

**პეტროგრადი.** 25 მარტი. საღვინე[illegible] შტაბის მთავარ სამმართველოდან. 22 მარტს, სადგურ რადომთან ჩვენს ლაზარეთს მტრის ჰაეროპლანმა [illegible] ესროლა. ლაზარეთის [illegible] ბი ჩაიმტვრა და ერთი ჯარის კაცი ტყვია-ბუქათ დაიჭრა. 20—20 მარტს, სადგურ იასლოსთან ავსტრიის ჰაეროპლანმა სათითაოთ ჩვენს სანიტარულ დაწესებულებებს ხუთ-ხუთი ბომბა ესროლა. 22 მარტს, როცა სანიტარულ მატარებელში დაჭრილებს ათავსებდენ მტრის ჰაეროპლანმა აქაც განიმეორა ყუმბარების ჩამოყრა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

როგორც „რუს. ვედ.“-ს ადესიდან ატყობინებენ, ოსმალთა ცნობით, ბოსფორში ჩაშვებულია მთელი რიგი ახალი ნაღმებისა. სანდერსმა და ენვერ ფაშამ დაათვალიერეს ბიუკდერეზე მდებარე სიმაგრეები, რომელიც თანამედროვე ტეხნიკის მიხედვითაა აგებული.

—

ინგლის საფრანგეთის ადმირალთა საბჭომ დაადგინა, რაც შეიძლება მალე აღებულ იქნას დარდანელი. ალექსანდრიაში სდგას ტრანსპორტები 60 ათასი ჯარისკაცის გადასაყვანათ.

—

ავსტრიის სასახლის წრეებში მოუთმენლათ მოელიან კარპატებში ბრძოლის დასასრულს, რომელზედაც მათის აზრით დამოკიდებული იქნება ზავის პირობები. ამბობენ, რომ გრაფი ტისსა საიდუმლოთ ემხრობა ზავსო.

—

როგორც ბუქარესტიდან იტყობინებიან, სტამბოლის გასამაგრებლათ ოსმალები დიდ მუშაობას აწარმოებენ, ყოველ მაღლობზე დადგეს ბატარეები და სხვადასხვა ყალიბის ზარბაზნები.

—

რომიდან იტყობინებიან, რომ ავსტრიის ჯარის დასაყრდნობ პუნქტათ (ბაზა) თუ ავსტრიასა და იტალიას შორის ვინიცობაა ომი მოხდა, ლიუბლიანი იქნებაო. ქალაქი სამარ ფეხზე სდგას და გარნიზონიც 150 ათას კაცს აღემატებაო.

—

უკანასკნელათ პარიზზე ცეპელინების თავდასხმის დრო, ერთი მათგანი ლიეჟთან ჩამოვარდა. მოკლულია 12 კაცი.

—

ლოძის ახლომახლოს, გერმანელებმა 11 კატი დახვრიტეს. მათ აბრალიდენ იმ სანოვაგის გადამალვას, რომელიც რეკვიზიციით მთავრობას უნდა წაეღო.


მმ. ქორქოლაძის მაღაზიაში

ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

მიიღებული საჰნის საქეთებელი სოდა ბორჯომის წყალი. საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აგრეუმის თესლი.

ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები.

და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ. თ.


რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.